



ა(ა)იპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401, ელ. ფოსტა:  
info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

### ფილოლოგია Philology

მიმართულება - 10 ჰუმანიტარული  
დარგი/სპეციალობა - 1005 ფილოლოგია

#### პროგრამის ხელმძღვანელები:

**ნუნუ გელდიაშვილი**, სრული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით  
**ნინო კოჭლოშვილი**, ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით  
**როინ ჭიკაძე**, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით  
**მანანა ღარიბაშვილი**, სრული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით

1. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის  
უზრუნველყოფის სამსახურების მიერ  
ოქმი #20, 5 დეკემბერი, 2012წ.

სამსახურის უფროსი: სრული პროფესორი

/დ. მჭედლიშვილი/

2. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ  
ოქმი #10, 22, ნოემბერი, 2012წ.

ფაკულტეტის დეკანი: ასოც. პროფესორი

/მ. ცირეკიძე/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი #6, 11 დეკემბერი, 2012წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
უნივერსიტეტის რექტორი

/თ. ჯავახიშვილი/

თელავი  
2012

- ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- დეპარტამენტები: ქართული ფილოლოგიის; უცხო ენებისა და ლიტერატურის

• პროგრამის სახელწოდება: **ფილოლოგია**  
**Philology**

სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებული ქვედარგები:

- ტიპოლოგიური ლინგვისტიკა
- ქართული ლიტერატურა

კვლევის ემპირიული ბაზა შეიძლება იყოს პროგრამის ქვედარგების კვლევის ინტერესში მოქცეული ენები და ლიტერატურა.

• პროგრამის ხელმძღვანელები:

**ნუნუ გელდიაშვილი**, სრული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით  
nunu.geldiashvili@tesau.edu.ge

**ნინო კოჭლოშვილი**, ასოცირებული პროფესორი ქართული ლიტერატურის მიმართულებით,  
nino.kochloshvili@tesau.edu.ge

**როინ ჭიკაძე**, ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით  
roinchikadze@tesau.edu.ge

**მანანა ღარიბაშვილი**, სრული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით  
manana.gharibashvili@tesau.edu.ge

CV-ები იხილეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ.გვერდზე [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)

• აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა (III საფეხური)

• საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

• სწავლების ენა: ქართული

• მისანიჭებელი კვალიფიკაცია: (1005 ) ფილოლოგიის დოქტორი  
Doctor of Philology

• პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 (ECTS) კრედიტი

• პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- უნივერსიტეტის მოთხოვნა - გამოცდა სპეციალობაში (ლინგვისტიკა/ქართული ლიტერატურის ისტორია), რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტის მიერ.
- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება - გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში (ინგლისური|გერმანული|რუსული), რომელიც ორგანიზებულია უნივერსიტეტის მიერ ან C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.

საგამოცდო საკითხები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge).

გამოცდა ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.

(ბრძანება დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესის შესახებ და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის უწყისის ფორმები (ფორმა №12) იხილეთ უნივერსიტეტის საიტზე [http://tesau.edu.ge/?page\\_id=1464](http://tesau.edu.ge/?page_id=1464)).

- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის) თანხმობა/რეკომენდაცია, რომელშიც დასაბუთებული იქნება არჩეულ სფეროში კვლევის წარმოების შესაძლებლობა (ეს არ გულისხმობს თემის ზუსტი დასახელების განსაზღვრას);
- დოქტორანტობის კანდიდატს ევალება წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც მკაფიოდ წარმოაჩენს ინტერესების სფეროსა და სამეცნიერო მიზნებს. დაასაბუთებს, რატომ სურს აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლა.

### ➤ კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება:

ა) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას/პუბლიკაციას;

ბ) მაღალი აკადემიური მოსწრების ქონას;

გ) ტრენინგს შესაბამის სფეროში.

სტუდენტი აფორმებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, გადის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

### • საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ახალი თაობის მკვლევარი-ანალიტიკოსი და მეცნიერ-პედაგოგი ფილოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციით - აკადემიური ლიდერი, რომელსაც ექნება არჩეული ქვედარგის („ტიპოლოგიური ლინგვისტიკა“; „ქართული ლიტერატურა“) ფუნდამენტური ცოდნა და ახალი ცოდნის შემოქმედებითად შექმნის უნარი. დოქტორანტი პროგრამის ფარგლებში დაეუფლება დამოუკიდებელ/ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ფილოლოგიის დარგში აქტუალური პრობლემების გადაჭრასა და ცალკეული დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგიას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; გააცნობიერებს რა საკუთარ გზას მეცნიერებაში, იგი შეძლებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების განხორციელებას, როგორცაა: გენერაცია, კონსერვაცია და ტრანსფორმაცია.

შესაბამისად, პროგრამა აგებულია ისე, რომ უზრუნველყოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიღწევა, როგორც თეორიულ, ისე - გამოყენებით ასპექტში, რაც განსაზღვრავს დოქტორანტის მაღალკვალიფიციურობასა და კონკურენტუნარიანობას (კარიერისათვის მომზადებას) შრომის ბაზარზე და, შესაბამისად, წარმატებით დასაქმებას ყველგან იმ პოზიციებზე, სადაც ფილოლოგიის დოქტორის კვალიფიკაციის მქონე კადრის საჭიროებაა.

პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია ფილოლოგიის დარგის განვითარებაზე; ამ მიმართულებით შესრულებულ კვლევათა სამეცნიერო (ადგილობრივ და საერთაშორისო) აკადემიურ წრეებში ინტეგრაციაზე; პიროვნული ღირსებებისა და მოქალაქეობრივი ღირებულებების (ეროვნების მიუხედავად) სრულყოფასა და შემდგომ, ამის საფუძველზე, საკუთარი შემოქმედებითი უნარების განვითარება-დამკვიდრებზე.

• სწავლის შედეგი

ქვედარგი - ტიპოლოგიური ლინგვისტიკა

	ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>➤ დარგის/ქვედარგის ან დარგთა შორის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).</p> <p>➤ არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;</p>	<p>➤ უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნა ტიპოლოგიურ ლინგვისტიკაში და, შესაბამისად, არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა სამეცნიერო-კვლევითსა და საგანმანათლებლო საქმიანობაში (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);</p> <p>➤ ლინგვისტიკაში არსებული ცოდნის ახლებურად/შემოქმედებითად გააზრების (სპეციფიკის გათვალისწინების) და, გარკვეულწილად, მისი გადაფასების მეშვეობით ცოდნის განახლებული არეალის გაცნობიერება;</p> <p>➤ შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის (ქართული და კვლევის ინტერესში მოქცეული ენა) მიდგომებისა და მეთოდოლოგიის ცოდნა; ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემების იდენტიფიცირების, ახლებურად დანახვის, გააზრების, დასმისა და დამოუკიდებლად გადაწყვეტის გაცნობიერება; მათი ინტერდისციპლინარული კვლევა;</p> <p>➤ უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლების, მიზნებისა და შედეგების ცოდნა-გაცნობიერება;</p> <p>➤ ლინგვისტიკის ადგილის გააზრება თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში და ფილოლოგიური ცოდნის საზოგადოებაში გაცრცელების აუცილებლობის გაცნობიერება;</p> <p>➤ სხვადასხვა ენათა კულტურის ფასეულობათა და თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება.</p>
<p><b>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>➤ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</p> <p>➤ შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;</p>	<p>➤ კონტრასტული ხასიათის მეცნიერული ღირებულების მქონე ინოვაციური კვლევის (სამეცნიერო ნაშრომის/პროექტის) დამოუკიდებლად, პროფესიულად დაგეგმვა, საჭირო (სპეციალური) სამეცნიერო რესურსების/წყაროების შერჩევა-დამუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განხორციელება-ორგანიზება;</p> <p>➤ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება და მიღწეული შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა;</p> <p>➤ ადეკვატური ენობრივი სტილისა და სამეცნიერო ლინგვისტური აპარატის მიზნობრივად გამოყენება</p>

		<p>კვლევის პროცესში, საგანმანათლებლო თუ მთარგმნელობით საქმიანობაში;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ კვლევის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო (სასწავლო კურსებსა) და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;</li> <li>➤ დარგის (ლინგვისტიკა) შემადგენელი ცალკეული დისციპლინის სწავლება და სასწავლო მეთოდური მასალების მომზადება;</li> <li>➤ სწავლების თანამედროვე სტრატეგიების განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპების დანერგვა, ინტერაქტიული მეთოდების ეფექტურად გამოყენება;</li> <li>➤ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური - სასწავლო/საგანმანათლებლო, კულტურულ/აღმზრდელობითი, შემოქმედებითი - პროგრამების/პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;</li> <li>➤ მთარგმნელობითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</li> <li>➤ შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, პასუხის მგებლობა, პუნქტუალურობა და ლიდერობა;</li> </ul>
<p><b>3.დასკვნის უნარი</b></p>	<p>➤ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება /განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p>	<p>➤ ლინგვისტიკის (ენათა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, სტილისტიკისა და გრამატიკის საფუძვლების) საკითხებში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების (სხვადასხვა კონცეფციისა და ჰიპოთეზის) სწორად ფორმულირება, კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება; ყოველივე ამის საფუძველზე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>➤ ლინგვისტიკურ-სამეცნიერო კვლევებსა თუ საგანმანათლებლო სფეროში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და, ამავე დროს, ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p>
<p><b>4.კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>➤ ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;</p>	<p>➤ ლინგვისტიკის (ენათა ლექსიკა-ფრაზეოლოგიის, სტილისტიკისა და გრამატიკის საფუძვლების), ასევე, მთარგმნელობითი საქმიანობის სფეროში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი;</p> <p>➤ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაცია (სამეცნიერო დიალოგის წარმართვა, პრეზენტაცია) და თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და უცხოურ ენებზე;</p> <p>➤ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების პროცესის წარმართვა;</p>

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ელექტრონული სწავლების დანერგვა და ელექტრონული კურსების შექმნა-შემუშავება;</li> <li>➤ დამოუკიდებლად და გუნდში შემოქმედებითად მუშაობა პროფესიულ თუ არაპროფესიულ გარემოში.</li> </ul>
<b>5. სწავლის უნარი</b>	უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლინგვისტიკაში შექმნილი უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების, გაღრმავებისა და სრულყოფისათვის მზაობა სწავლისა და კვლევის, ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში.</li> </ul>
<b>6. ღირებულებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროფესიულ საქმიანობასა და სხვებთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ობიექტურობის პრინციპების დაცვა-დამკვიდრების გზების ძიება და სწავლა-სწავლების პროცესში მათ განვითარება-დამკვიდრებისათვის ინოვაციური მეთოდების შემუშავება;</li> <li>➤ ეროვნული და დასავლური (ზოგადსაკაცობრიო) ღირებულებების დაფასება და დამკვიდრება-განვითარებაში წვლილის შეტანა, ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> </ul>

**ქვედარგი - ქართული ლიტერატურა**

	<b>ზოგადი კომპეტენციები</b>	<b>დარგობრივი კომპეტენციები</b>
<b>1. ცოდნა და გაცნობიერება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დარგის/ქვედარგის ან დარგთა შორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე).</li> <li>➤ არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა ლიტერატურათმცოდნეობაში და, შესაბამისად, არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა სამეცნიერო-კვლევითსა და საგანმანათლებლო საქმიანობაში (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);</li> <li>➤ ქართული ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებებისა და ძირითადი მიმართულებების ახლებურად გააზრება და შესაბამისად ცოდნის განახლებული არეალის გაცნობიერება;</li> <li>➤ ქართული და უცხოური ლიტერატურის (კვლევის ინტერესში მოქცეული) კანონზომიერებების ცოდნა და გაცნობიერება;</li> <li>➤ ლიტერატურული ძეგლების, ცალკეული ჟანრებისა და ლიტერატურული სკოლების ახლებურად შესწავლა, ტექსტოლოგიური ანალიზი, ლიტერატურული პროცესებისა და მოვლენების პრობლემატიკის გააზრება და ანალიზი. თანამედროვე მეთოდების გამოყენებით პრობლემების დამოუკიდებლად და ორიგინალურად გადაჭრის გაცნობიერება.</li> <li>➤ უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლების, მიზნებისა და შედეგების ცოდნა-გაცნობიერება;</li> </ul>

		<p>➤ ლიტერატურათმცოდნეობის ადგილის გააზრება თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში და ფილოლოგიური ცოდნის საზოგადოებაში გაცრცელების აუცილებლობის გაცნობიერება;</p> <p>➤ ქართული და უცხოური ლიტერატურული ძეგლების ფასეულობათა და თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება.</p>
<p><b>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>➤ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;</p> <p>➤ შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;</p>	<p>➤ ლიტერატურაში მეცნიერული ღირებულების მქონე ინოვაციური კვლევის (სამეცნიერო ნაშრომის/პროექტის) დამოუკიდებლად, პროფესიულად დაგეგმვა, საჭირო (სპეციალური) სამეცნიერო რესურსების/წყაროების შერჩევა-დამუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით განხორციელება-ორგანიზება;</p> <p>➤ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება ლიტერატურასა და ტექსტოლოგიაში, მიღწეული შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა;</p> <p>➤ კვლევის შედეგების გამოყენება სგანმანათლებლო (სასწავლო კურსებსა) და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;</p> <p>➤ დარგის (ლიტერატურა) შემადგენელი ცალკეული დისციპლინის სწავლება და სასწავლო მეთოდური მასალების მომზადება;</p> <p>➤ სწავლების თანამედროვე სტრატეგიების განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპების დანერგვა, ინტერაქტიული მეთოდების ეფექტურად გამოყენება;</p> <p>➤ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური - სასწავლო/საგანმანათლებლო, კულტურულ/ადმინისტრაციული, შემოქმედებითი - პროგრამების/პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;</p> <p>➤ შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, პუნქტუალურობა და ლიდერობა;</p>
<p><b>3. დასკვნის უნარი</b></p>	<p>➤ ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</p>	<p>➤ ლიტერატურის (ქართული და უცხოური) თეორიის, სალიტერატურო კრიტიკისა და ტექსტოლოგიის საკითხებში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების (სხვადასხვა კონცეფციისა და ჰიპოთეზის) სწორად ფორმულირება, კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; ყოველივე ამის საფუძველზე, ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>➤ ლიტერატურულ-სამეცნიერო კვლევებსა თუ საგანმანათლებლო სფეროში წარმოქმნილი</p>

		პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და, ამავე დროს, ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და ორიგინალურად მიღება.
<b>4.კომუნიკაციის უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლიტერატურაში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენის უნარი;</li> <li>➤ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაცია (სამეცნიერო დიალოგის წარმართვა, პრეზენტაცია) და თემატურ პოლემიკაში ჩართვა ქართულ და უცხოურ ენებზე;</li> <li>➤ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების პროცესის წარმართვა;</li> <li>➤ ელექტრონული სწავლების დანერგვა და ელექტრონული კურსების შექმნა-შემუშავება;</li> <li>➤ დამოუკიდებლად და გუნდში შემოქმედებითად მუშაობა პროფესიულ თუ არაპროფესიულ გარემოში.</li> </ul>
<b>5. სწავლის უნარი</b>	უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში.	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლიტერატურათმცოდნეობაში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, ასევე, კვლევის პროცესში.</li> </ul>
<b>6.ღირებულებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროფესიულ საქმიანობასა და სხვებთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ობიექტურობის პრინციპების დაცვა-დამკვიდრების გზების ძიება და სწავლა-სწავლების პროცესში მათ განვითარება-დამკვიდრებისათვის ინოვაციური მეთოდების შემუშავება;</li> <li>➤ ეროვნული და დასავლური (ზოგადსაკაცობრიო) ღირებულებების დაფასება და დამკვიდრება-განვითარებაში წვლილის შეტანა, ინოვაციური მეთოდების შემუშავება.</li> </ul>



• სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
<b>სასწავლო კომპონენტი</b>						
სწავლების თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X	X	X
მეცნიერული კვლევისა და წერის მეთოდები	X	X	X	X	X	X
პროფესორის ასისტენტობა	X	X	X	X	X	X
ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა 1 (მონოპრედიკატული წინადადების სტრუქტურა)	X	X	X	X	X	X
წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა 2 (პოლიპრედიკატული წინადადების სტრუქტურა)	X	X	X	X	X	X
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ასპექტები	X	X	X	X	X	X
ლიტერატურული პროცესები ქართულ მწერლობაში 1 (XIX საუკუნის ქართული სალიტ. აზროვნება)	X	X	X	X	X	X
ლიტერატურული პროცესები ქართულ მწერლობაში 2 (ქართული მოდერნიზმი)	X	X	X	X	X	X
თემატური სემინარი - I	X	X	X	X	X	X
თემატური სემინარი - II	X	X	X	X	X	X
მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	X	X	X			X
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და ელექტ. კურსების შექმნა	X	X	X	X	X	X
თარგმნის ლინგვისტიკა	X	X	X	X	X	X
ტექსტოლოგიის საკითხები	X	X	X	X	X	X
ქართული საისტორიო მწერლობის ძირითადი ასპექტები	X	X	X	X	X	X
ქართული მინიატურული პროზა მსოფლიო ლიტერატურის ჭრილში	X	X	X	X	X	X
ენათა სწავლების თეორიები და მეთოდები	X	X	X	X	X	X
უცხო ენა - C 2	X	X		X		X
<b>კვლევითი კომპონენტი</b>						
პროსპექტუსი /სადისერტაციო კვლევის პროექტი/		X	X	X	X	X
დოქტორანტის კოლოკვიუმი I	X	X	X	X		X
დოქტორანტის კოლოკვიუმი II	X	X	X	X		X
დოქტორანტის კოლოკვიუმი III		X	X	X		X
სადისერტაციო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

• **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები**

პროგრამა ითვალისწინებს სწავლებასა და სამეცნიერო კვლევას.

სწავლა ძირითადად მიმდინარეობს ინტერაქტიური და ინფორმაციული, ვერბალური, ევრისტიკული, აღწერითი, ანალიზისა და სინთეზის, წიგნზე და მასალაზე (საანალიზო წყაროები) მუშაობის, დემონსტრირების, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების და კაპი-ს (კითხვა-არგუმენტი-პასუხი-მოპოვებული ინფორმაცია) მეთოდების კომბინაციით; ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით.

გათვალისწინებულია სწავლების ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება: ლექცია, პრაქტიკული სამუშაო, სემინარი, საშინაო დავალება (თავისუფალი წერა), რეფერატი, პრეზენტაცია, კონსულტაცია, პროფესორის ასისტენტობა, დისტანციური სწავლება, სტატიის წერა, სადოქტორო (საკვალიფიკაციო) ნაშრომის მომზადება და საჯაროდ დაცვა.

შესაბამისი სტრატეგიები და მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

**თითოეული სასწავლო კურსის შესწავლის ფორმასა და მეთოდოლოგიას ირჩევს ლექტორი და პასუხისმგებელია სწავლის შედეგებზე.**

**ლექციების დანიშნულებაა** - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემატიკის სიღრმისეულად/ფართოდ განხილვა და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია ფილოლოგიის სფეროში თეორიული კვლევისა და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე.

➤ **ჯგუფური მუშაობების დანიშნულებაა** - დოქტორანტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება. შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა პრაქტიკული თუ პრობლემატური სიტუაციების ანალიზი.

➤ **დისკუსიების დანიშნულებაა** თეორიულ ლექციებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განმტკიცება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება, რაც დოქტორანტს მნიშვნელოვნად გაუადვილებს საკუთარი ხედვის გამოკვეთასა და რიგი საკითხებისადმი პროფესიული მიდგომის შემუშავებას;

➤ **სემინარული მეცადინეობა** - აზრთა გაცვლის საუკეთესო საშუალებაა. ლექტორი ასრულებს მოდერატორის ფუნქციას. პრაქტიკული სამუშაოს განხორციელებით დოქტორანტი აითვისებს კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

სემინარი ითვალისწინებს პრობლემურ საკითხებზე განსახილველი თემატიკის საფუძვლიანად დამუშავებას. სემინარული მუშაობისას უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად აღიქვამს დოქტორანტი პრობლემას და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

**თემატური სემინარის** ძირითადი მიზანია დოქტორანტს:

- შესძინოს შესაბამისი საკვლევი თემის ფარგლებში კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშავოს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში

დასაბუთებულად ჩართვის უნარი.

**სწავლის შედეგების მისაღწევი მეთოდები:**

➤ **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.

➤ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. დოქტორანტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატურულ ნამუშევრებს ან სამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

➤ **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

➤ **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიხარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

➤ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

➤ **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

➤ **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

➤ **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

➤ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

- **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დოქტორანტის წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
  - **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლის დროსაც ხდება საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.
  - **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
  - **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
  - **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
  - **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.
  - **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.
  - **დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია). ეს მეთოდი გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- დემონსტრირება, პრობლემის რაობიდან გამომდინარე, შესაძლოა ატარებდეს როგორც მარტივ, ასევე რთულ სახეს (მაგ: პირველ შემთხვევაში მარტივი საგანმანათლებლო ამოცანის დასმა ამოხსნის გზების მითითებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მრავალსაფეხურიანი პედაგოგიური ექსპერიმენტის დაგეგმვა, მიმდინარეობა, ანალიზი).
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:
    - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
    - ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
    - მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.
- განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება ელექტრონული სწავლების პირველი და მეორე მოდელების მონაცვლეობა.

● **დასაქმების სფერო**

პროგრამის სწავლის შედეგები - თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები - უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

ფილოლოგიის დოქტორი (კურსდამთავრებული) შესაძლებელია დასაქმდეს: როგორც მკვლევარი-ანალიტიკოსი (მეცნიერ-მუშაკი) და ლექტორი (პროფესორ-მასწავლებელი) სახვადასხვა სამეცნიერო-კვლევითა თუ უმაღლეს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში); პედაგოგად კოლეჯსა და საჯარო სკოლაში; დარგობრივ ექსპერტად; მთარგმნელად; ასევე, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, საგამომცემლო დაწესებულებები, რედაქციები, ლიტერატურული ასოციაციები, კომპანიები, ფონდები, მასმედია); ყველგან, იმ პოზიციებზე, სადაც უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგის (ფილოლოგიის დოქტორი) საჭიროებაა.

### ● **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი ინფრასტრუქტურა: თესაუ-ს ბიბლიოთეკა (უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა); სამკითხველო დარბაზი, პროფესორ-მასწავლებელთა პირადი წიგნადი ფონდი/რიდერები, ETAG - ის ბიბლიოთეკა (როგორც რეგიონალური, ასევე ცენტრალური), ქართული და უცხოური ფილოლოგიის დეპარტამენტებისა და ამერიკის შესწავლის ცენტრის წიგნადი ფონდი. ასევე, საპრეზენტაციო დარბაზები და კომპიუტერული ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სამეცნიერო ლიტერატურით, ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. დოქტორანტი, საჭიროებისამებრ, ისარგებლებს ლიტერატურის მუზეუმით, არქივით, ხელნაწერთა ინსტიტუტით, კერძო არქივებით. აგრეთვე, ბეჭდური ბაზების პარალელურად მკვლევარს შესაძლებლობა ექნება, გამოიყენოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ონლაინ სამეცნიერო ბაზები.

უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

- ✓ ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ კვების ბლოკი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები.

### ● **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლის შედეგების რეალურად მისაღწევად შემუშავებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან და უნივერსიტეტის წესდებასთან შესამაბისი სტუდენტთა ცოდნის დონის შემოწმების სისტემა (განთავსებულია ვებ-გვერდზე - [http://tesau.edu.ge/?page\\_id=1387](http://tesau.edu.ge/?page_id=1387))

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

სასწავლო კურსის შეფასებისას დოქტორანტურაში შუალედური შეფასებები განისაზღვრება ორი **შუალედური გამოცდით** (თითოეული მაქსიმუმ 20 ქულა) და **პრეზენტაციით** (მაქსიმუმ 20 ქულა).

➤ შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით.

კრედიტის მინიჭება ხდება მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში (დოქტორანტის სასწავლო კურსის შეფასების უწყისი - ფორმა №7ა, №7ბ).

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ იგი თვითონ წყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს. შუალედური შეფასებების კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდების ფორმატი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

**შეფასების სისტემა უშვებს:**

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- 1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- 2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- 3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- 5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- 1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- 2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, გარდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა, ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით ზემოთ მოყვანილი სისტემის მიხედვით - შუალედური მაქსიმუმ 60 ქულისა და დასკვნითი მაქსიმუმ 40 ქულის შეფასებების მეშვეობით. პირობები და შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

**სადოქტორო ნაშრომის შეფასება**

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ახდენს კოლეგიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით

შეფასების კრიტერიუმი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა
სადისერტაციო თემის აქტუალობა	20
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	30
დასმული პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატურობა	20
ნაშრომის გაფორმება	10
დოქტორანტის პრეზენტაცია	10
დოქტორანტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა	10

სულ	100
-----	-----

**დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა**

ქულების მაქსიმალური რაოდენობა	ნაშრომის შეფასების სისტემა
91-100	ფრიადი ( <i>summa cum laude</i> )--შესანიშნავი ნაშრომი;
